პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

4

დეკემბერი

ორშაბათი,

1961 წ.

№ 197 (4833)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკობს ფიფა-ს

პრეზიდენტი

შეკითხვა: თქვენის აზრით, რაში მდგომარეობს ჩილში მომავალი მსოფლიო პირველობის თავისებურება?

პასუხი: როცა მორიგი მსოფლიო პირველობის მონაწილენიცა და ორგანიზატორებიც ძირითადად ერთიდაიგივენი არიან, ძნელია ილაპარაკო რაიმე პრინციპულ ცვლილებებზე. რა თქმა უნდა, სამხრეთ ამერიკა თავისი ტემპერამენტიანი გულშემატკივრებით, თავისებური ბუნებითა და კლიმატით მომავალ შეჯიბრებას განსაკუთრებულ კოლორიტს მისცემს.

შეკითხვა: ბოლო ხანებში ბევრს წერენ ევროპული და სამხრეთ ამერიკული სკოლების მეთოქეობაზე ფეხბურთში. როგორ ფიქრობთ, რაში უნდა გამოიხატოს ყველაფერი ეს ჩილში?

პასუხი: ჩემის აზრით, წინამდებარე ტურნირზე ჩილში ევროპის ფეხბურთელებს საშუალება მიეცემათ საუკეთესოდ გამოიჩინონ თავი განებივრებული სამხრეთ ამერიკელი მაყურებლების წინაშე. რაც შეეხება უპირატესობას ამ ორ სკოლას შორის, იგი გამოვლინდება შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

შეკითხვა: ვინ მიგაჩნიათ ჩილის გათამაშების ფავორიტად?

პასუხი: წამყვანი გუნდების ძალები საოცრად იმდენად გათანაბრდა, რომ თამაშის შედეგი, რომელიც გნებავთ ორ ძლიერ გუნდს შორის შეიძლება გადაწყვიტოს სრულიად შემთხვევითმა ვითარებამ. ჩილში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმაში ეყოლებათ გუნდებს მოთამაშეები. ამისი განსაზღვრა წინასწარ, თამაშების დაწყებამდე ნახევარი წლით ადრე, არავის შეუძლია.

გარდა ამისა, მოწინააღმდეგეები ბრძოლის დროს ხშირად განსხვავებულ იარაღს მიმართავენ. ამას წინათ მე დავესწარი გადამწყვეტ მატჩს შვეიცისა და შვეიცარიის გუნდებს შორის. დასაწყისში თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. შვედებმა აჩვენეს გაცილებით უფრო სრულყოფილი ფეხბურთი როგორც ტექნიკის, ისე ტაქტიკის მხრივ, მაგრამ, როცა მატჩის დამთავრებამდე დარჩა ნახევარ საათზე ნაკლები, შვეიცარელებმა ისეთი ენერგიით იწყეს თამაში, რომ მთლიანად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. საბოლოოდ გამოვიდა, რომ გამარჯვების რწმენა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სპორტული უნარი. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ჩილშიც.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ თავის პრეზიდენტად აირჩია ცნობილი ინგლისელი ფეხბურთის მოღვაწე სტენლი როუზი. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ ამას წინათ რამდენიმე შეკითხვით მიმართა პრეზიდენტს.

შეკითხვა: როგორ აფასებთ საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლას სამხრეთ ამერიკაში და რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქედან?

პასუხი: რასაკვირველია, ეს დიდი წარმატებაა, რომელსაც, სიმართლე უნდა ითქვას, ბევრნი არც ელოდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაც მე უკვე გაპასუხეთ წინა შეკითხვაზე. ახლა ძნელია წინასწარ განსაზღვრო თამაშის შედეგი ორ წამყვან გუნდს შორის. რა თქმა უნდა, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთათვის ეს ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად უნდა იქცეს, თორემ ისინი ზედმეტად დარწმუნებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში.

შეკითხვა: რა შეგიძლიათ გვითხრათ ჩილის ტურნირის მსაჯობაზე?

პასუხი: ეს მეტად რთული შეკითხვაა. ყველაზე უფრო ძნელია ის, რომ დღემდე სხვადასხვა ქვეყნებში თამაშის წესები სხვადასხვაგვარად ესმით. იქნება ეს ძალისმიერი ბრძოლა, თავდასხმა მეკარეზე, ან უბრალოდ ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან, სულ ერთია — სხვადასხვა მსაჯები განსხვავებულ რეაქციას ახდენენ მათზე. რომ ჩილში ადგილი არ ჰქონდეს აზრთა სხვადასხვაობას, შერჩეულ მსაჯებთან ჩავატარებთ სემინარებს, სადაც უნდა გამოვიმუშაოთ ერთიანი შეხედულება წესებზე და სავალდებულო გავხადოთ იგი ჩემპიონატის ყველა არბიტრისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მსაჯების დანიშვნა ცალკეულ მატჩებზე. აქ ორგანიზატორებს მართებთ დიდი ტაქტის გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში, მსაჯების კანდიდატურა თვითეული მატჩის წინ ყოველმხრივ და ღეტალურად იქნება განხილული, რათა შეძლებისდაგვარად ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი გართულებანი.

შეკითხვა: განზრახული აქვს თუ არა ფიფა-ს შეიტანოს რაიმე ცვლილება თამაშის წესებში?

პასუხი: არა.

შეკითხვა: თქვენის აზრით, რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჯგუფების შედგენისას ჩილის ტურნირისათვის?

პასუხი: ვფიქრობ, უნდა მივმართოთ იგივე პრინციპს, რომელიც გამოყენებული იყო შვეიცის ჩემპიონატში. გარკვეული გუნდები დაიყოფიან ჯგუფებად, მაგრამ ამ დროს არ შეიძლება უკიდურესობაში გადავარდნა და ყველა 16 მონაწილის „განთესვა“. ასევე არ შეიძლება ყველაფერი მიანდო შემთხვევას და ჩაატარო საერთო კენჭისყრა. მე ვფიქრობ, ოთხი უძლიერესი ამერიკული გუნდი დაიყოფა ჯგუფებად, ხოლო დანარჩენთა ადგილებს გამოავლენს კენჭისყრა.

პრეტენდენტი დაბრუნდა თბილისში

გუშინ თბილისის სპორტული საზოგადოებრიობა, მოჭადრაკეები სადგურზე შეხვდნენ იუგოსლავიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულს, საქართველოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილსა და მის მწვრთნელს ოსტატ მ. შიშოვს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ნ. გაფრინდაშვილმა და მ. შიშოვმა განაცხადეს, რომ დიდად კმაყოფილი არიან იმ სიხარულით, რომელიც მოუტანეს I ადგილით საქართველოს მშრომელებს. „ჩვენ ვგრძნობდით საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის მხურვალე ყურადღებას, — თქვეს მათ, — იგი გვამხნევებდა ძნელ ბრძოლაში, გვმატებდა ძალებს. ტურნირის დასასრულს კი ნაკადად მოსულმა დეპეშებმა აგვაღელვეს, გვაგრძნობინეს სამშობლოს ზრუნვა. ამიტომ გვინდა გაზეთ „ლელოს“ საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადოთ ჭადრაკის ყველა გულშემატკივარს.

იური გაგარინი, ოსვალდო დორტიკოს ტორადო და ფიდელ კასტრო!

კოსმოსის გმირი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი და რევოლუციური კუბის ხელმძღვანელები!

ეს შეხვედრა კუბის მიწა-წყალზე მოხდა, სადაც საბჭოთა კოსმონავტი გმირი კუბელი ხალხის მიწვევით ჩავიდა და სადაც მას აღფრთოვანებული მიღება გაუმართეს.

ყოველივე ამის შემდეგ, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ გმირი კოსმონავტი პრეზიდენტ ოსვალდო დორტიკოს ტორადოსთან და კუბის რევოლუციის ბელად ფიდელ კასტროსთან ერთად მიიწვიეს კუბელი ახალგაზრდობის სპორტულ ზეიმსა და დემონსტრაციაზე.

ამ სურათზე აღბეჭდილია სწორედ ის მომენტი, როცა ი. გაგარინი კუბის ხელმძღვანელებთან ერთად ტრიბუნიდან უყურებს სპორტულ ზეიმს.

თათბიროგდა „დიდი ოთხეული“

წყალბურთელთა საკავშირო პირველობაში ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდს 11 შეხვედრაში არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდა. მეზღვაურებს არც მე-12 შეხვედრის მოგებას იმედი ჰქონდათ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, მათ დაამარცხეს თბილისის „დინამო“ — 3:2.

დაიკარგა მეტად საჭირო 2 ქულა, რაც აუცილებელი იყო საპრიზო ადგილზე გასვლისათვის. ამ ტურში მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ მოუგო ლენინგრადის „ბალტიკას“ — 5:3, მოსკოვის „დინამომ“—ლვოვის „დინამოს“ — 5:0, ვმფ-მა — „ტრუდს“ — 9:2.

გათამაშების მომდევნო ტური კვლავ თბილისელ წყალბურთელთა დამარცხებით აღინიშნა. მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაში საქართველოს გუნდმა ვერ უვნებელყო მეტოქის იერიშები და დამარცხდა — 2:4. ამ დღეს პირველი დამარცხება განიცადა ვმფ-მა მოსკოვის „ბურევესტნიკის“ წყალბურთელებთან — 2:3, პირველი იმიტომ, რომ მსაჯთა კოლეგიამ დააჯარიმა ვმფ-ის გუნდის პროტესტი მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრაში, რომელშიც, როგორც ცნობილია, მეზღვაურები დამარცხდნენ — 1:2. ეს გუნდები განმეორებით მატჩში შეხვდნენ გუშინ. ლვოვის „დინამომ“ მოუგო ლენინგრადის „ბალტიკას“ — 4:3, ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდმა — რსფსრ-ს „ტრუდს“ — 2:1.

საინტერესო წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ სათაურით — „ვის ვანდოთ მსაჯობა?“ ვმფ-სა და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრის წინ ითათბირა „დიდმა ოთხეულმა“. წყალბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კარნიცკი, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარე სემიონოვი, გათამაშების მთავარი მსაჯი ბლიუმენტალი და ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი უშაკოვი დიდი ხნის განმავლობაში გაცხარებით ბჭობდნენ. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: ვისთვის დაევალებინათ იმ მატჩის მსაჯობა, რომელიც ფაქტიურად წყვეტდა ოქროს მედლების ბედს.

თითქოს ეს არც თუ ისე ძნელი საქმე იყო, რადგან ამ ტურნირზე არ იგრძნობა ავტორიტეტთა ნაკლებობა — 4 საერთაშორისო, 3 საკავშირო და 5 რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს შეეძლო დავმშვენებინა რომელიც გინდათ შეჯიბრება. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ორი საერთაშორისო მსაჯი არმიელთა კლუბის მუშაკია, ერთი — დინამოელი, მეოთხემ უკვე იმსაჯა ამ გუნდების წინა მატჩი. შეხვედრის ჩატარება დაევალა ლენინგრადელ რაფაელოვს. და აი დაიწყო მატჩი. 3 პერიოდი თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა ფრედ — 1:1. და როცა დასკვნით პერიოდში ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მსაჯს უმტყუნა ნერვებმა. მისმა ორმა შეცდომამ იმოქმედა შეხვედრის შედეგზე. მართალია, თამაში „დინამომ“ მოიგო (2:1), მაგრამ მსაჯის შეცდომებმა ბიძგი მისცა ვმფ-ს მწვრთნელს პროტესტი შეეტანა მსაჯთა კოლეგიაში, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა. მატჩი გადათამაშდება. მაგრამ თუ ვინ იმსაჯებს ამ შეხვედრას, ჯერ კიდევ გარკვეული არაა.

ფედერაციის სხდომაზე გადაწყვეტილება გამოიტანეს შეავსონ მსაჯთა რიგები იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ „ა“ კლასის კოლექტივებთან.

„დინამოს“ ფრე

სამხრეთ ამერიკის მაღალმთიან ქვეყანა ბოლივიაში თავისი მეორე მატჩი ჩატარეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. დინამოელები ქ. კოჩაბამბაში შეხვდნენ ადგილობრივ „ვილსტერმენს“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამ დღეებში ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა ფრენბურთში საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის. მწვავე და დაძაბულ ბრძოლაში გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელმა მოსწავლეებმა, ჭაბუკთა შორის პირველობა არავის დაუთმეს ბათუმელებმა.

სურათებზე: ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდები. მარცხნივ — თბილისის ფრენბურთელ გოგონათა გუნდი, მარჯვნივ — ბათუმელ ჭაბუკთა გუნდი.

სიახლენი ფრენბურთის წესებში

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, რომელიც ამას წინათ მარსელში შედგა, ფრენბურთის თამაშის წესებში შეტანილ იქნა ზოგიერთი შესწორება და კორექტივი. ყველა ეს შესწორება და დამატება ძალაში შედის 1961 წლის 1 დეკემბრიდან. აი ეს ცვლილებები:

1. ოთხი შეცვლის ნაცვლად დაშვებულია ექვსი შეცვლა. მოთამაშის შეცვლის ნებართვას იძლევა მეორე მსაჯი. ნებართვის მიცემამდე საჭიროა შეცვლა გაფორმდეს შეჯიბრების ოქმში, ამასთან შეცვლაზე გუნდს დრო არ ეძლევა.

2. მოთამაშის მიერ ტრავმის მიღებისას, როგორც გამონაკლისი, შეიძლება მისი შეცვლა სათადარიგოთი, რომელიც მანამდე შეცვლაში მონაწილეობდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნებადართული შეცვლების რიცხვი ამოიწურა. მოთამაშის მოედნიდან გაძევების შემთხვევაში, თუ შეცვლათა რიცხვი უკვე ამოწურულია, მოედანზე მისი მაგიერი მოთამაშის დაშვება არ შეიძლება.

3. თუ მსაჯმა შეამჩნია, რომ მოთამაშეების განლაგება მოედანზე არასწორია და დარღვევის მომენტის დადგენა შეუძლებელია, მსაჯი მათ აღადგენინებს სწორ განლაგებას მოედანზე და წესის დამრღვევ გუნდს აჯარიმებს ერთი ქულით ან მიწოდების დაკარგვით.

4. გაფრთხილებას მოთამაშე ღებულობს სიტყვიერად და შეჯიბრების ოქმში არ ფიქსირდება, აგრეთვე გუნდს არ ემუქრება დამატებით დასჯის საშიშროება. მითითება კი ფიქსირდება ოქმში და გუნდი დაისჯება აგრეთვე ქულის ან მიწოდების დაკარგვით.

5. შეჯიბრებათა მონაწილეებისათვის განსაზღვრულია შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები:

ბიჭები და გოგონები — 13-14 წლის.

უმცროსი ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები — 15-16 წლის.

უფროსი ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები — 17-18 წლის.

ჭაბუკები და ქალიშვილები 18 წლის ასაკიდან დაიშვებიან მოზრდილთა შეჯიბრებებში.

6. ბადე გარდა თეთრი ფერისა (როცა ამას მოითხოვს დარბაზის ფერი), შეიძლება იყოს შემოქობილი სხვა ფერის ნაჭრითაც.

7. ტერმინების ნაცვლად „მსაჯი კოშკზე“ და „მსაჯის თანაშემწე“, შემოღებულია ახალი ტერმინები— „პირველი მსაჯი“ და „მეორე მსაჯი“.

8. მეორე მსაჯს უფლება ეძლევა მოთამაშეთა დასჯისა.

9. დგინდება ერთიანი ზომის ნომრები როგორც მკერდზე, ასე ზურგზე (ციფრის სიმაღლე — 15 სმ, ხაზის სიგანე — 2 სმ) გასაკეთებლად.

10. მოთამაშეს, რომელსაც ბურთის გდებისას ბურთი შეეხო სხეულზე ან თავზე, მოწოდება ჩატარებულად ეთვლება და ბურთი მოწინააღმდეგეს უნდა გადაეცეს.

11. თუ თამაში გადატანილია სხვა მოედანზე და განახლდება არანაკლებ ოთხი საათის შემდეგ, ამ შემთხვევაში მოედნის მხარეების ამორჩევის მიზნით ტარდება ახალი კენჭისყრა.

12. მოთამაშეებს უფლება ეძლევათ თამაშის დროს ეხუროთ სპორტული ტიპის ქუდები. ამ შემთხვევაში გუნდის ყველა წევრს ერთიანი ფორმის ქუდები უნდა ჰქონდეთ.

ცვლილებებია აგრეთვე წესების კომენტარებში:

1. ბურთის მოწოდებისას მოედნის ფარგლებს გარეთ მოთამაშეების დადგომა დაუშვებელია (გარდა მოწოდების შემსრულებლისა).

2. მოთამაშეთა განლაგება ფიქსირდება მხოლოდ ბურთის მიწოდების შესრულების მომენტში. შეცდომა მოთამაშეთა არასწორ განლაგებაში მსაჯის მიერ ფიქსირდება მიწოდების შესრულების შემდეგ (დარტყმა ბურთზე). თუ ერთ-ერთმა გუნდმა დაარღვია მოთამაშეთა ურთიერთ განლაგება, როცა მიწოდებულმა ბურთმა გადაკვეთა ბადე, მაშინ პირველ შეცდომად (იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაშვებულია წესების სხვა დარღვევები) ჩაითვლება მოთამაშეთა არასწორი განლაგება.

3. თუ მესამე დარტყმის დროს ბურთი მოხვდა ბადის ზემოთა კიდეს და ამ დროს შეეხო მბლოკირებელთა ხელებს, ბლოკირება ჩაითვლება და თავდამსხმელი გუნდი სამი ახალი დარტყმის უფლებას იღებს. თუ კი მბლოკირებელი მოთამაშე შეეხო ბურთს და ამ დროს ხელები გადაიტანა ბადის მეორე მხარეზე, მას ეს მოქმედება შეცდომად ეთვლება.

დიდი ჯურნალი

ამგვარად, დამთავრდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში. მთელი მსოფლიოს სპორტული პრესა დიდ უურადღებას უთმობს ჩვენი გუნდის გამოსვლებს. კერძოდ, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გაზეთები დაწვრილებით ანალიზს უკეთებენ როგორც მთელი გუნდის, ისე მისი ცალკეული წევრების თამაშს.

განსაკუთრებული უურადღებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა ნაკრების თამაშს ბრაზილიელი სპეციალისტები. მათ ამჯერად საუკეთესო საშუალება ჰქონდათ ე. წ. „მეთვალთვალის“ პოზიციებიდან შეეფასებინათ თავიანთი მომავალი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგის ძალა და შესაძლებლობანი. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს საამხრეთ ამერიკის გაზეთებისა და მწვრთნელების შეხედულებებს ჩვენი გუნდის შესახებ.

აი რას წერს ბრაზილიური „დიარიო დე ნოტისიასი“: „დაამარცხა ურუგვაის ნაკრები, საბჭოთა კავშირის გუნდმა ჩაბარა უკანასკნელი და ყველაზე ძნელი გამოცდა მსოფლიო პირველობის თამაშებში მონაწილეობისათვის. საბჭოთა ფეხბურთელებმა აჩვენეს თავიანთი განახლებული ფეხბურთის ცხოველმყოფელი ძალა... დღეს რომ სსრ კავშირის ნაკრებს მოუგო, უნდა გუავდეს ისეთი სასწაულმოქმედი მეკარე, როგორიცაა იაშინი“.

საყოველთაო მოწონება ჰპოვეს ჩვენი გუნდის გარემარბებმა მ. მეხმა და ს. მეტრეველმა. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება ჰქონდა მ. მეხის თამაშს. რამდენიმე აქაურ გაზეთში დაიწერა, რომ მ. მეხი — ეხაა „ქართველი გარინჩა“, რომელმაც ვირტუოზული ტექნიკა გამოამუღავნა, რაც არაფრით ჩამოუვარდებოდა საამხრეთ ამერიკის უძლიერეს ფეხბურთელთა საუკეთესო ნიმუშებს.

პრენს ლატინას საგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა კ. ნასიმენტომ მონტევიდეოში ჩატარებული მატჩის შემდეგ განაცხადა: „საბჭოთა ნაკრები მოწინავე რიგებში ჩადგა მსოფლიოს წამყვან გუნდებს შორის. როგორც წესი, წაგებულები თავიანთ მარცხს უიღბლო შემთხვევებით ხსნიან ხოლმე, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებები არგენტინაში, ჩილესა და ურუგვაიში მოპოვებულია პატიოსან, ვაუკაცურ ბრძოლაში. შეიძლება რუსებმა ვერ გვაჩვენეს ზოგიერთი ის თავბრუდამხვევი ტექნიკური ტრიუკი, რომლებიც ჩვენს ფეხბურთელებს გააჩნიათ, სამაგიეროდ, მათს მხარეზეა მოფიქრებული, აზრიანი, მიზანდასახული ფეხბურთი. მომეცით მე იაშინი და ბრაზილია კიდევ ერთხელ მოიგებს მსოფლიო პირველობას“.

ურუგვაის ეროვნული ნაკრების ტექნიკური ხელმძღვანელი ხ. კ. კორასო ამბობს: „სრულიად ცხადია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე — საუკეთესო გუნდია. და თუ რუსი ფეხბურთელების ტექნიკა არ წარმოადგენს რაიმე გასაკვირს, მათი კოლექტიური თამაში მეტისმეტად ეფექტურია“.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გამოსვლებს საამხრეთ ამერიკაში ერთგვარად აჯამებს ფრანს პრესის საგენტო: „ტუავის ბურთის საბჭოთა ოსტატებმა დაამსხვრიეს და არარად აქციეს მითი იმის შესახებ, რომ არც ერთ ევროპულ გუნდს არ შეუძლია დაამარცხოს ლათინური ამერიკის ფეხბურთელები მათს მინდორზე“.

ბრაზილიის პრესა სინანულს გამოთქვამს, რომ საბჭოთა ფეხბურთელებთან თავის დროზე არ იქნა მიღწეული მოლაპარაკება მათი გამოსვლებისათვის რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში. ბრაზილიელები დარწმუნებული არიან, რომ ეს შეხვედრები სახარგებლო იქნებოდა ორივე მხარისათვის. ახეთი მატჩები, ხაზს უსვამს პრესა, ძალთა მოსინჯვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა ორი მატერიკის საფეხბურთო სკოლების უძლიერეს წარმომადგენელთა შორის.

ფეხბურთის ქვეყანაში

მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციაში

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციის საბჭოს პლენუმმა, რომელმაც მოისმინა ფედერაციის პრეზიდიუმის ანგარიში.

პლენუმის უურადღების ცენტრში იყო მძლეოსნობის მასობრივი განვითარების, სპორტსმენთა ოსტატობის ზრდის, ფედერაციებისა და სექციების საქმიანობის საკითხები. აღინიშნა, რომ XVII ოლიმპიურ თამაშებზე და სხვა საერთაშორისო შეხვედრებში საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვების მიუხედავად საკავშირო ფედერაციაში, აგრეთვე ფედერაციებსა და სექციებში ადგილებზე ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ხარვეზებს. განსაკუთრებით გააკრიტიკეს უკრაინისა და ბელორუსიის მძლეოსნობის ფედერაციები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მონახეს საზოგადოებრიობასთან მუშაობის ეფექტური ფორმები.

პლენუმმა დიდი უურადღება დაუთმო საორგანიზაციო, მეთოდურ, ევროპის პირველობისა და XVIII ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების საკითხებს.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები. საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ბუროვი, მოადგილეებად — ბ. ბუტენკო და გ. როგულსკი, ფედერაციის პასუხისმგებელ მდივნად — ვ. სადოვსკი, საკავშირო მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — გ. კორობკოვი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — მ. ტომილინი.

გამოვლინდნენ ფინალისტები

...ოევში რამდენიმე დღეს მიმდი...ეობდა დასკვნითი ორთაბრძო...ები კრივში საბჭოთა კავშირის ...ნდურ პირველობაზე. ნახევარ...ინალურ მატჩებში ერთმანეთს ...ვდებოდნენ „შრომითი რეზერ...ები“-„ბურევესტნიკი“ და ცსკა-...ინამო“.

„შრომითი რეზერვების“ მოკრი...ებებმა „ბურევესტნიკთან“ შეხვე...დრაში გამოამჟღავნეს კარგი ფიზი...ური მომზადება, მოიგეს მატჩი 7:3 და გავიდნენ ფინალში.

მეორე ნახევარფინალშიც საბო...ლოო ანგარიში იყო 7:3. ამჯერად ...ერთმანეთს ხვდებოდნენ ცსკა-ს და „...დინამოს“ გუნდები. პირველი ...ოთხი შეხვედრა მიმდინარეობდა ...ადაბულად, რაზედაც ანგარიშიც ...მეტყველებს — 2:2. ამის შემდგომ ...უკვე ნათლად ჩნდება არმიელთა ...აჭარა უპირატესობა. ვ. ტრეპშმა ...მოუგო ა. ევსტრატოვს, ვ. აგეევმა — ს. კორსანოვს, ვ. თათევოსიანმა — რ. იოანესიანს, ა. კისელევმა — ვ. პოპეჩენკოს. ანგარიში მიჰყავთ ...არმიელებს — 6:2. შემდგომ ...ორთაბრძოლაში დინამოელმა გ. ...ივანოვმა მოუგო დ. პოზნიაკს, ბო...ლო ბრძოლა კი არმიელებმა თავი...ანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

გუშინ, გვიან საღამოს დამთავ...რდა ფინალური შეხვედრები „შრო...მითი რეზერვებისა“ და ცსკა-ს მო...კრივეთა შორის.

სტარტი ღია აუზში

თბილისისა და ბაქოს მოცურავეთა ნაკრები გუნ-დების სამატჩო შეხვედრები წლის სხვადასხვა დროს არა ერთხელ გამართულა ჩვენი რეს-პუბლიკის დედაქალაქში, მაგ-რამ იგი უჩვეულო პირობებ-ში არასოდეს ჩატარებულა. თბილ დღეებში სპორტსმენები ძა-ლებს ცდიდნენ ღია აუზში, ზამ-თარში — „დინამოს“ დახურულ აუზში, ახლა კი... ქალაქში გაკრუ-ლი აფიშები სპორტის მოყვარუ-ლებს ატყობინებდა ამ ორი მომმე ქალაქის სპორტსმენთა სამატჩო შეჯიბრების ფიზკულტურელის პა-რკის ღია აუზში გამართვას, რაც უჩვეულოა დეკემბრისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი შედის თავის უფლებებში და საკ-მაოდ ცივა, შეჯიბრებაზე ცურვის მოყვარულთა მაინც მნიშვნელოვან-მა რაოდენობამ მოიყარა თავი.

ხელოვნურად გამთბარი წყლით კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი სტუმ-რები. მართალია, გუნდურ ჩათვ-ლაში პირველი დღის შემდეგ აშ-კარა იყო თბილისელთა უპირატე-სობა, რომლებმაც პროგრამის 8 სახეობიდან 6 დისტანციაზე მოი-პოვეს გამარჯვება, მაგრამ წინაა კიდევ ორი დღე და ბაქოელ მო-ცურავეებს აქვთ მდგომარეობის გათანაბრების იმედი.

პირველ დღეს, 2 დეკემბერს თბი-ლისის გუნდს პირველი გამარჯვე-ბა მოუტანა ე. შავდიამ, რომე-ლიც ამ დღეს გუნდის ინტერესე-ბისათვის მისთვის ახალ როლში — თავისუფალი სტილით 100 მ ცურ-ვაში გამოვიდა და წარმატებით გა-ნახორციელა იგი. ე. შავდიამ აჩვე-ნა 1. 11,7 წუთი და 2,6 წამით მიაა-სწრო ფინიშზე ბაქოელთა ლი-დერს ამ დისტანციაზე — გ. შურს.

სხვაგვარად წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება იგივე სტილით ამავე დისტანციაზე. სტარტიდან თითქ-მის ფინიშამდე ლიდერობდა ბა-ქოელი გ. კაზანენკო, მაგრამ ზედ ფინიშზე გაასწრო მას თბილისელ-მა ოსტატმა ი. ბინიუკოვმა. მან ნახევარი წამით აჯობა ბაქოელს. მისი შედეგია 1.00,7. მესამე ადგი-ლი წილად ხვდა გ. კორბუკოვს (თბილისი) — 1.01,5.

თავისუფალი სტილით მოცურა-ვეებს არც თბილისელი ბრასის-ტები ჩამორჩნენ. ჯერ იყო და სპორტის ოსტატმა ლ. კრილოვამ ადვილად დაამარცხა ყველა მოწი-ნააღმდეგე, მათ შორის თანაგუნ-დელი დ. კონონენკოც და პირველ-მა დაამთავრა 100 მ დისტანცია — 1.26.6, ხოლო შემდეგ საკავშირო ნაკრების წევრმა ი. ფუნიკოვმა ვაჟთა შორის გამარჯვებით ახალი უპირატესობა მოუტანა თბილისის გუნდს.

ჩვენმა სტუმრებმა ორი პირვე-ლი ადგილი მოიპოვეს და ორივე შემთხვევაში ქალთა შეჯიბრებაში. ა. პიჩუგინამ და ს. სემიონოვამ და-ამარცხეს: პირველმა ე. ღიბრაძე 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში, ხოლო მეორემ — ი. ჩუგუევსკაია — ამავე დისტანციაზე დელფი-ნით ცურვაში.

100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ვაჟთა შორის ყველა საპრიზო ად-გილი თბილისელმა სპორტსმე-ნებმა მოიპოვეს, რომელთა შორის უძლიერესი იყო ბ. კამენსკი — 1.09,8, მეორე ადგილზე გამოვიდა ე. ხინჩიანი. იგი გამარჯვებულს ჩამორჩა 0,7 წამით, მესამე ადგილი მოიპოვა ი. გორდიენკომ — 1.12,4. 100 მეტრზე დელფინით ცურვაში შედარებით ძლიერად გამოვიდნენ ბაქოელები ი. კომა-როვი და ვ. ეენენკოვი, მაგრამ პირველობა მაინც ვერ მოიპოვეს. ისინი იძულებულნი გახდნენ შე-საბამისად მეორე და მესამე ადგი-ლებით დაკმაყოფილებულიყვნენ. გაიმარჯვა თბილისელმა ნ. უმ-ერენკომ — 1.10,2.

შეჯიბრება დღეს მთავრდება.

რაიონის თასზე

15 დღეს გაგრძელდა „კოლმეურ-ნის“ რაიონული თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდ-ნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 16 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოჩხამურისა და ცაგერ-ურ-ის ნაკრ-ები. საბჭოთა მეურნეობათა გუნდები. ანგარიშით — [illegible] გამარჯვეს ცეცხლურის ფეხბურთელებმ[illegible].

ლ. ტრაპაიძე

მასობრივი ტურნირი

დამთავრდა მასობრივი ტურ-ნირი ჭადრაკში ბათუმის კოლექ-ტივებში გამარჯვებულთა შორის.

პირველი ადგილი მოიპოვა ბა-თუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ჭანტურიამ, II და III ადგილები დაიკავეს პ. მორ-ჩილაძემ და ე. ფაღავამ.

გ. სირბილაძე



ცურვის მასობრივობა გაღაწყვეტს საკითხს

საუკეთესო ბუნებრივი პირობები საქართველოს მოცურავეებს სა-შუალებას აძლევს იყვნენ მოწინა-ვეთა შორის ჩვენს ქვეყანაში. მაგ-რამ თითო-ოროლა სპორტსმენის გა-მოკლებით სასურველ წარმატებებს ჯერ არა აქვს ადგილი. XVII ოლიმ-პიურ თამაშებზე საქართველოდან სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიო-და მხოლოდ ერთი სპორტსმენი და მანაც არასახარბიელო მაჩვენებ-ლით დაამთავრა შეჯიბრება. საქ-ართველოს მოცურავეთა დაბალ მიღწევებზე მეტყველებენ I და II სპარტაკიადის შედეგებიც. მართა-ლია, II სპარტაკიადაზე გუნდმა წინ წაიწია ერთი ადგილით და V საპრიზო ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მთლიან-ად არ შეესაბამება ჩვენს ყველა შესაძლებლობას.

ჩვენი მოცურავეთა წარუმატებ-ლობის ერთ-ერთი მთავარი მიზე-ზია აუზების სიმცირე და მათი კეთ-ილმოუწყობლობა. არსებული ბა-ზების მნიშვნელოვანი ნაწილი მხო-ლოდ ზაფხულის პერიოდში სავარ-ჯიშოდაა გათვალისწინებული. ეს განსაკუთრებით ითქმის ბათუმის, სოხუმის, ტყიბულის აუზებზე. ერთადერთი ღია აუზი, რომელიც ზამთრის პერიოდშიც მუშაობს, თბილისშია, დახურული აუზის მშე-ნებლობა კი წლების განმავლობაში ჭიანურდება.

მაგრამ ყველაფერს მხოლოდ ბა-ზების სიმცირით ვერ ავხსნით. ყო-ველ შეჯიბრებაზე გამარჯვების საკ-ითხს წყვეტს გუნდების, ცალკეულ-ი სპორტსმენების მომზადების დონე. წინა სპარტაკიადაზე განსა-კუთრებით სუსტად გამოიყურებო-და საქართველოს მოცურავე ქალთა კოლექტივი, რამაც საგრძნობლად შეაფერხა მთლიანად კოლექტივის წინსვლა. გასულ წელს იგივე მე-5 ადგილი მოიპოვეს ჩვენმა მოცურა-ვეებმა საკავშირო პირველობაზე. როცა მოზრდილებთან ერთად ჩა-თვლას იძლეოდნენ მოზარდებიც, ბრძოლის სიმძიმე ამჯერადაც ვაჟ-თა გუნდმა გადაიტანა.

მართალია, ვაჟთა და ბავშვთა გუნდები კარგად გამოვიდნენ, მაგ-რამ პირად ჩათვლაში აქაც უკან-დახევას ჰქონდა ადგილი: მთელი ჩვენი ნადავლი შეადგენდა ერთ ოქროსა და ერთ ბრინჯაოს მე-დალს. წელს საქართველოს გუნდი საკავშირო პირველობაზე არ მო-ნაწილეობდა, ვინაიდან პირველობა რესპუბლიკებს შორის არ ჩატარე-ბულა, თუმცა ჩვენი შესაძლებლო-ბების ერთგვარ საზომს წარმოად-გენდა საუწყებათაშორისო საკავ-შირო პირველობა. მაშინ საქართ-ველოდან საუწყებო ნაკრებში მოხვდა მხოლოდ ორი ქალი (ე. შავ-დია და ლ. კრილოვა) და ისინიც არც თუ ისე მაღალი შედეგებით გამოვიდნენ შეჯიბრებებზე.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ძი-რითადი უურადღების გამახვილება საჭიროა ქალთა კოლექტივის მომ-ზადებაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ვაჟებთან ყველაფე-რი რიგზე გვქონდეს. აქაც ჯერ კი-დევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. განსაკუთრებით გულდასმით გაა-ნალიზებასა და შესწავლას საჭი-როებს მიმდინარე წელს ჩატარე-ბულ შეჯიბრებათა შედეგები.

საქართველოს გუნდის წინსვლას საკმაოდ აფერხებს სპორტსმენ-თა სუსტი დახელოვნება ცურვის ცალკეულ სახეობებში. ჩვენში „აქი-ლევსის ქუსლს“ წარმოადგენს დელ-ფინის სტილით ცურვა. ამ მხრივ ჩამორჩებოდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებიც, მაგრამ ისინი უკეთ ასწორებენ მდგომა-რეობას და ჩვენზე უკეთეს შედე-გებსაც აღწევენ. პირდაპირ უნდა ითქვას: ვისაც დელფინისტთა ძლიე-რი კოლექტივი ჰყავს, მეტი წარ-მატების მოპოვების შანსებიც გააჩნია. სწორედ ამის წყალობით, რომ საქართველოს დელფინისტები უკანასკნელ საკავშირო შეჯიბრება-ზე უკეთ იყვნენ მომზადებული, ვიდ-რე ესტონელები და ბელორუსები, საერთო გუნდურ ჩათვლაში შევძე-ლით მეხუთე ადგილის მოპოვება.

საქართველოს დელფინისტთა ისე-დაც მცირე ძალა კიდევ უფრო შეასუსტა მათი რიგებიდან ლ. გი-ორგაძისა და ვ. სანაძის წასვლამ, რომლებმაც წყალბურთი აირჩიეს და იქაც ხშირად მხოლოდ სათადა-რიგო სკამზე ზიან.

სხვა რესპუბლიკებში გადა-სვლის გამო რესპუბლიკურ ნაკ-რებს უკანასკნელ ხანებში გა-მოაკლდა რამდენიმე წამყვა-ნი სპორტსმენი, სხვები თანდა-თან შევიდნენ ასაკში და ახლა დღის წესრიგში უფრო მეტის სიმ-წვავით დადგა ნაკრების გაახალ-გაზრდავების საქმე. ეს საკითხი ერთგვარად გადაწყდა კიდეც. ქალ-თა საშუალო ასაკი არ ცილდება 16 წელს, ხოლო ვაჟთა საშუალო ასაკი — 20 წელს (15 მოცურავე ქალს აქვს პირველი თანრიგი); მაგ-რამ ეს ასაკიც კი ერთობ დიდია ცურვისათვის, მწვრთნელთა საბჭოს განზრახული აქვს ერთხელ კიდევ გადახედოს ნაკრების შემადგენლო-ბას, მისი რიგებიდან გამოიყვანოს უპერსპექტივო სპორტსმენები, რომ-ლებიც თითქმის არ მუშაობენ სა-კუთარ თავზე, არ იცავენ რეჟიმს. ეს განსაკუთრებით ეხება ბ. ლე-ჟავას.

ამ სპორტსმენს შესანიშნავი შე-საძლებლობა ჰქონდა ყოფილიყო საუკეთესო, დიდი სარგებლობა მოეტანა საკუთარი თავისა და კო-ლექტივისათვის, მაგრამ ნაადრე-ვად გაყოყოჩდა, თავი ჩამოიყალი-ბებულ მოცურავედ წარმოიდგინა, არ იცავდა წვრთნის რეჟიმს და სა-ვალალო შედეგმაც არ დააყოვნა.

სავრძნობლად დაეცა სოხუმის, ბათუმის, ფოთის სპორტსმენთა მა-ჩვენებლები. ეს ქალაქები ადრე სათანადო შევსებას აძლევდნენ რესპუბლიკის ნაკრებს, მაგრამ უკა-ნასკნელ წლებში მათ მთლიანად დათმეს პოზიციები. ფოთის მოცუ-რავეები ხშირად გამოსულან წარ-მატებით რესპუბლიკურ შეჯიბრე-ბებზე, ამჟამად კი აქ თითქმის აღარ არიან მოცურავენი და არც ეტყობა, რომ ვინმე ზრუნავდეს სპორტული ცურვის განვითარები-სათვის. თუ შევადარებთ ფოთსა და ქუთაისს, აღმოჩნდება, რომ ქუ-თაისში, სადაც გაცილებით უარესი პირობებია, უფრო მეტს ფიქრობ-ენ ცურვის პროგრესისათვის, ვიდ-რე ზღვისპირა ქალაქში. ქუთაისე-ლებს შედეგებიც უკეთესი აქვთ; ქალაქის ორი აღზრდილი წყალ-ბურთელთა რესპუბლიკური ნაკრე-ბის წევრია.

ფოთელთაგან დიდად არც ბა-თუმელები განსხვავდებიან. თუ მათ უჭირთ ბრძოლა თბილისის გუნდთან, რით უნდა ავხსნათ ის, რომ აქაური მოცურავენი უკანას-კნელ წლებში თითქმის რეგულარუ-ლად აგებენ სოხუმელებთან, რომ-ლებსაც ასეთსავე პირობებში უნ-დებათ სპორტსმენთა მომზა-დება. 1960 წელს ბათუმ-მა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებს მისცა ერთი სპორტსმენი, წელს კი არც ერთი. და ეს მაშინ, როცა ბათუმელებს კარგი ტრადი-ციები აქვთ და გამოცდილი მწვრთნელებიც ჰყავთ.

როგორც ვხედავთ, საქართველო-ში, განსაკუთრებით მის პერიფე-რიებში ცურვის განვითარება ჯერ კიდევ არასათანადო სიმაღლეზეა. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, ვი-მუშაოთ უკეთესად ვიდრე ოდესმე, მეტი წამყვანი სპორტსმენი მივცეთ რესპუბლიკის ნაკრებს, არ დავ-ჯერდეთ მიღწეულს, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნ-დის საერთო წარმატებაში.

ლ. იოანიმიდი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ლ ე ლ ო

ფე-ბ 23, № 197 (1838)

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ სპორტულ ტანვარჯიშში ახლახან ჩატარებული საკავშირო პირველობის ორ მონაწილეს, მაგრამ სრულიად სხვადასხვა გარემოში. ზევით სპორტული ბრძოლის ასპარეზია, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში დაძაბული ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოსკოვის სპორტის სასახლის ხალხმრავალი ტრიბუნები. ეს ასპარეზი ბედნიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშის — ე. გრომოვისათვის. თავისუფალ ვარჯიშში მან მხოლოდ 0,1 ქულა „დაუთმო“ ჩემპიონს — ი. ცაპენკოს და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ქვედა სურათზე საქვეყნოდ აღიარებული, მრავალი ბრძოლაგადახდილი და დიდი გამარჯვებების შარავანდედით მოსილი სპორტსმენია. ამაზე მეტყველებს ის აურაცხელი სპორტული ნადავლიც, რომელიც ლ. ლატინინამ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან „მოხვეჭა“. განვლილ საკავშირო პირველობაზე მან კიდევ ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მიუმატა ამ ნადავლს.

ამ სურათზე მესამე პიროვნებაცაა აღბეჭდილი — პატარა ტატიანა, რომელიც გულდასმით იმეორებს სახელგანთქმული დედის მოძრაობებს. ის ჯერ არ ეკუთვნის დღევანდელ ჩემპიონთა რიგებს, ჯერ მხოლოდ მომავალია... და თუ ისიც ნამდვილი გახდება, არც ეს იქნება გასაკვირი, ვინაიდან მას ყველა საამისო წინამძღვარი აქვს.

ფოტო ვ. ტუტოვისა და ი. შაპსკისა.



ᲩᲣᲥᲜᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილი ათი თვის მანძილზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ცურვის საკავშირო ფედერაციამ ცალკეულ სახეობათა მიხედვით შეადგინა ათი უძლიერესის სია, რომელთა შორის საქართველოს მხოლოდ ჩუთ წარმომადგენელს ვხედავთ. მათ შვიდი ადგილი უკავიათ 160 ადგილში.

უძლიერესთა შორის მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკიდან ვერ ვხედავთ წარსულში ცნობილ გვარებს, ამასთან დაიკლო მათმა რიცხვმაც. საქართველოდან უძლიერესებში ყველაზე კარგი ადგილი — მეორე, უკავია ი. ფუნიკოვს („სპარტაკი“) 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, როცა 3 ივნისს თბილისში გამართულ შეჯიბრებაში მან აჩვენა 1,11,4 წამი და გაიმეორა ლ. კოლესნიკოვის (ლვოვი) იმდროინდელი მსოფლიო რეკორდი. ფუნიკოვი მეოთხე ადგილზეა ბრასის სტილით 200 მეტრზე მოცურავეთა შორის, 20 მაისს მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაზე მან ეს დისტანცია 2.37,8 წუთში გაცურა.

ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში ვაჟთა შორის ბათუმელ ვ. მამჩინს უძლიერესთა ათეულში მეშვიდე ადგილი ეკუთვნის შედეგით 1.14,4 და იგი ნაჩვენები იქნა კიევში მიმდინარე წლის 3 აგვისტოს. ვაჟებიდან უძლიერესთა ათეულში მოხვდა საქართველოს კიდევ ერთი სპორტსმენი — ბ. ტესლენკო. მისი გვარი ორჯერ მოხსენებულ და ორჯერვე ეს უფლება მოიპოვა სექტემბერში, ხარკოვში გამართულ სოციალისტური ქვეყნების მოცურავეთა შეჯიბრებაზე. 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში მან აჩვენა 2.25,6, რამაც საშუალება მისცა ათეულში მეხუთე ადგილზე გასულიყო. სამი დღის წინ კი, 17 სექტემბერს მან აქვე, 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ლენინგრადელ ვ. მანდრიკინთან წააგო 1,5 წამით, აჩვენა 1.07,2, მოიპოვა მეორე ადგილი შეჯიბრებაზე და მეათე ადგილი უძლიერესთა ათეულში.

სამი ადგილი უკავიათ უძლიერესთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ქალებს — ე. შავდიასა და ლ. კრილოვას. ე. შავდიამ თბილისში 3 ივნისს გამართულ შეჯიბრებაზე 100 მეტრი ზურგზე გაცურა 1.17,2 წამში.

სხვა მაჩვენებლები აქვს დინამოელ ლ. კრილოვას. თუ ხარკოვში 18 სექტემბრის შეჯიბრებაზე მან 200 მეტრი ბრასით გაცურა 2,59,0-ში, ერთი დღის შემდეგ 100-მეტრიან დისტანციაზე ნაჩვენები შედეგით — 1.25,5 ათეულში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

რედაქტორი ი. უგულავა





11–14

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ 12 ᲓᲐ 19 ᲡᲐᲐᲗᲘ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ამერიკელი მენაჯერი ბ. კოქსი ყოველწლიურად ატარებს დიდ საერთაშორისო ტურნირს ნიუ-იორკში, რომლის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი ასეთი ტურნირი ევროპისა და ამერიკის უძლიერესი გუნდების მონაწილეობით მოეწყო მარშან. მონაწილენი დაყოფილი იქნენ ორ ჯგუფად, რომელთა შორის გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდნენ ორ ფინალურ მატჩში. პირველ ასეთ ტურნირში გაიმარჯვა ბრაზილიის წარმომადგენელმა „ბანგუმ“. წელს პირველი ადგილი დარჩა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონს „დუკლას“.

ამჟამად ბ. კოქსი შეუდგა მორიგი საერთაშორისო ტურნირისათვის მზადებას. მან უკვე მოახდინა შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების კენჭისყრა. პირველ ქვეჯგუფში ითამაშებენ ინგლისის, გფრ-ს, იტალიის, ბრაზილიის, იუგოსლავიისა და შოტლანდიის, ხოლო მეორეში — პორტუგალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, არგენტინის, უნგრეთისა და ესპანეთის გუნდები. საკითხი, თუ კერძოდ რომელი გუნდები მიიღებენ ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას, უნდა გადაწყვიტონ ეროვნულმა ფედერაციებმა.

როგორც ყოველთვის, ბილ კოქსი აპირებს შეჯიბრებაში გამოიყვანოს საკუთარი კლუბი „ნიუ-იორკ ამერიკენი“, რომელიც მუდმივად არ არსებობს და მხოლოდ ტურნირის წინა ხანებში კომპლექტდება ბრაზილიელ და არგენტინელ ფეხბურთელთაგან.

„ᲒᲝᲠᲜᲘᲙᲘ“— ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

დამთავრდა პოლონეთის 1961 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი ადგილისათვის თითქმის არავითარი ბრძოლა არ ყოფილა.

ქალაქ ზაბჟეს „გორნიკმა“ 8 ქულით გაუსწრო ქ. ბიტომის „პოლონიას“. ჩემპიონს ბურთების საუკეთესო შეფარდება აქვს — 73:18. აქედან 24 ბურთი გაიტანა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა პოლმა (№ 10) და 16 ბურთი — იანკოვსკიმ (№ 7). საყურადღებოა, რომ არც მეორე ადგილისთვის ყოფილა შეუპოვარი ბრძოლა. იგი იოლად მოიპოვა პოლონეთის ყოფილმა ჩემპიონმა „პოლონიამ“.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ჩემპიონობა კარგა ხანია არ მოუპოვებია ვარშავის რომელიმე გუნდს.

„გორნიკი“ მომავალ წელსაც ითამაშებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში, როგორც ცნობილია, მან წელს პირველი შეხვედრა მოუგო ინგლისის ჩემპიონ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ (4:2), მაგრამ ლონდონში დამარცხდა დიდი ანგარიშით (1:8) და დასტოვა შეჯიბრება.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ— ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის აიმორე მორეირას მიწვევით რიო-დე-ჟანეიროსა და სანპაულუში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ავსტრიის ეროვნული ნაკრები. ბრაზილიაში ინტერესით მოელიან ამ შეხვედრებს და მათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი ნაკრების წვრთნისათვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

ამ დღეებში ავსტრიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვენაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა გუნდის ის შემადგენლობა, რომელიც ბრაზილიაში გაემგზავრება: მეკარეები — ფრაიდლი და ზარვალდი, მცველები — ტრუბრიგი, შტოტცი, ჰაზენკოპფი, შტრობლი; ნახევარმცველები: გლეხნერი, ჰანაპი (გუნდის კაპიტანი), გისერი, ოსლანსკი; თავდამსხმელები—ნემეცი, კნოლი, ჰოფი, ბუცეკი, რაფრაიდერი, კოზლიჩეკი.

საყურადღებოა, რომ ამჯერად გუნდში შეყვანილი არ არის „ვუნდერტიმის“ მუდმივი მოთამაშე, ჰანაპის მრავალწლიანი პარტნიორი ნახევარდაცვაში — კოლერი.

Ი. ᲙᲣᲞᲔᲠᲛᲐᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲘᲜᲐᲐ

100-უჯრიან შაშში ი. კუპერმანის მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონ ვ. შჩეგოლევთან დიდ ინტერესს იწვევს. ვილნიუსის ტური უკვე დამთავრდა. მათი უკანასკნელი შეხვედრა კვლავ ყაიმით აღინიშნა და ანგარიში გახდა 7,5:6,5 კუპერმანის სასარგებლოდ.

კუპერმანი და შჩეგოლევი კიდევ 6 პარტიას გითამაშებენ. აქედან 3 შეხვედრა ჩატარდება ლენინგრადში, ხოლო დასკვნითი ტურები — მოსკოვში.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

დეპეშებისათვის—თბილისი, „ლენინი“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ᲣᲔ 04125

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი და მძლეოსნობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ რევაზ ტრაპაიძეს მისი დის

თინა იოსეს ასულ ტრაპაიძის გარდაცვალების გამო.